აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015-2018 წლების პრიორიტეტები



MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY OF AJARA

WWW.MOFEA.GE

საშუალოვადიანი პრიორიტეტი

რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

მიზნები:

- საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა
- რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა
- ქონების ეფექტიანად და გამჭვირვალედ მართვა
- ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

2015-2018 წლების პროგრამები

- რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა
- ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა
- სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა
- მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა

2015-2018 წლების ბიუჯეტი: 2 070 000 ლარი

პროგრამების დასახელება	2015	2016	2017	2018
რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	**675 000**	**620 000**	**415 000**	**360 000**

პროგრამის მიზანი

რეგიონის საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის სრულყოფა

პროგრამის აღწერილობა გეგმა

- **რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი:** აჭარის რეგიონისა და მისი საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება, საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით საინვესტიციო/ბიზნეს ფორუმებზე, შეხვედრებზე, გამოფენებზე, ტურებზე, კონფერენციებზე რეგიონის მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი საინვესტიციო პოტენციალის წარდგენა;

- **კვლევები რეგიონის ეკონომიკური მდგომარეების შეფასებისათვის:** ინვესტიციების მოზიდვის და მიმდინარე პრივატიზების პროცესის პირობებში რეგიონის სხვადასხვა სექტორის შესწავლა და შეფასება. შესაბამისად, სპეციალური მეთოდოლოგიით კვლევების ჩატარება. კვლევა მოიცავს ისეთ სექტორებს როგორიცაა, სოფლის მეურენობა, მრეწველობა, მცირე ბიზნესი, ტურიზმი, ლოჯისტიკა , მშენებლობა.

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა:** აჭარის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის საკუთრებაში არსებული აქტივების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენა, ელექტრონული აუციონების ჩატარება, არსებული ქონების მოვლა-პატრონობა.

შედეგი

- 10 %-იანი ინვესტიციების ზრდა წინა წელთან შედარებით

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა

2015-2018 წლების ბიუჯეტი: 380 000 ლარი

პროგრამების დასახელება	2015	2016	2017	2018
ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობა	**230 000**	**150 000**	-	-

პროგრამის მიზანი

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიების შემდგომი გამოყენების დადგენა

პროგრამის აღწერა:

- გონიოს საკურორტო ადგილის სანაპირო ზოლის დაგეგმარება და ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის შედგენა.

- **აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა:** ჯანსაღი და უსაფრთხო სამოღვაწეო და საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ზოგადფუნქციური და კონკრეტული უფლებრივი ზონირება; ტერიტორიული ერთეულების საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების დოკუმენტაციის შექმნა;

შედეგი

- სივრცითი მოწყობის დოკუმენტები და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის შედგენა

გონიოს საკურორტო ადგილის სანაპირო ზოლის დაგეგმარება



გონიოს ტერიტორიის არსებული მდგომარეობა

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა

2015-2018 წლების ბიუჯეტი: 12 000 000 ლარი

პროგრამების დასახელება	2015	2016	2017	2018
სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა	**3 000 000**	**3 000 000**	**3 000 000**	**3 000 000**

პროგრამის მიზანი

- სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა

შედეგი

- სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახების საბინაო პირობებით უზრუნველყოფა. 2015-2018 წლებში ოჯახების დაკმაყოფილება მოხდება 225 ბინით.

არსებული მდგომარეობის ფოტომასალა

საცხოვრებელი სახლის პროექტი

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა

2015-2018 წლების ბიუჯეტი: 1 440 000 ლარი

პროგრამების დასახელება	2015	2016	2017	2018
მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა	**720 000**	**720 000**		

პროგრამის მიზანი

- აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შერჩეული ბანკის მიერ სესხების გაცემა

პროგრამის აღწერა

- ტურისტულ ბიზნესად ჩაითვლება საქმიანობა, რომელიც უკავშირდება აჭარის არ ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი კვების ობიექტის, სასტუმროს, გასართობი ობიექტის მოწყობას და სხვა ტურისტული საქმიანობას. საკრედიტო რესურსი განისაზღვრება 6 მლნ. ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15%-ს. სესხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 200 000 ლარით და სესხი გაიცემა არაუმეტეს 7 წლის ვადით. ბიზნეს სუბიექტი პირველი სამი წლის განმავლობაში გადაიხდის დადგენილი სესხის საპროცენტო განაკვეთის 3%-ს. ხოლო სხვაობა სუბიექტის მიერ ასანაზღაურებელ და დადგენილ საპროცენტო განაკვეთებს შორის - 12 % სამი წლის განმავლობაში ანაზღაურდება აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ბანკის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

შედეგი

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ტურიზმის სექტორში სამეწარმეო აქტიურობის გაზრდა

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა

2015-2018 წლების ბიუჯეტი: 3 600 000 ლარი

პროგრამების დასახელება	2015	2016	2017	2018
მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა	**1 200 000**	**1 200 000**	**1 200 000**	

პროგრამის მიზანი

- აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სესხების გაცემა

პროგრამის აღწერა

- 2014 წელს ჩატარებული კვლევების საფუძველზე, რომელიც შეეხება ორ სექტორს სოფლის მეურნეობას და მრეწველობას გარკვეული იქნება ის ბიზნეს მიმარულებები, რომლებიც მიმზიდველია ინვესტირების კუთხით და ბაზარზე კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა. შესაბამისად სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება ბანკის მიერ სესხების გაცემა 10 მლნ. ლარის საკრედიტო რესურსის ფარგლებში., წლიური საპროცენტო განაკვეთი იქნება 15%-ს. ბიზნეს სუბიექტი პირველი სამი წლის განმავლობაში გადაიხდის დადგენილი სესხის საპროცენტო განაკვეთის 3%-ს. ხოლო სხვაობა სუბიექტის მიერ ასანაზღაურებელ და დადგენილ საპროცენტო განაკვეთებს შორის - 12 % სამი წლის განმავლობაში ანაზღაურდება აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ბანკის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

შედეგი

- ბიზნეს სექტორში სამეწარმეო აქტიურობის გაზრდა

გმადლობთ ყურადღებისთვის !